



Humanrights.ge

პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ

ძიება

გაფართოებული ძიება



მთავარი | სიახლეები | გამოცემები | კანონმდებლობა | ანგარიშები | HRIDC-ს შესახებ | ბმულები | კონტაქტი | [Text Version](#)

რუსთაველების აზრით, ყვითელი წვიმა რუსთავის გიგანტი საწარმოების მიერ ჰაერის დაბინძურებას მოჰყვება

20.04.2011



მანონ ბოკუჩავა, ქვემო ქართლი

20 აპრილს თბილისსა და რუსთავეში ტალახიანი წვიმა დილით, დაახლოებით ათის ნახევარზე დაიწყო. წვიმას მოყვითალო შეფერილობა ჰქონდა და ქოლგებზე, ტანსაცმელსა თუ მანქანებზე ტალახის წერტილოვან კვალს ტოვებდა. მოქალაქეები შემოთქმებულ ვერ მალავდნენ და მოვლენას ბოლოდროინდელ კატაკლიზმებს უკავშირებდნენ.

ძირითადად - იაპონიაში ატომური ელექტროსადგურის აფეთქებით გამოწვეულ ატმოსფეროს დაბინძურებას.

რუსთავეში დილის 09:30-ზე აგურისფერი წვიმა წამოვიდა. „ქუჩაში მოვდიოდი და უცებ დავინახე, რომ ყველა გამვლელს ქურთუკებზე ყვითელი წერტილები გაგვიჩნდა. ერთმანეთს ფერთხვა დაუწყეთ. მერე მივხვდით, რომ ყვითელი მტვერი, სინამდვილეში, წვიმის წვეთების კვალი იყო. ვერ ვიტყვი, რომ იმ დროს დიდი ქარი იყო და შორიდან შეეძლო რაიმე მტვრის გადმოტანა რუსთავის თავზე. მე ვფიქრობ, ეს მტვერი ჩვენი ქარხებიდან მოდიოდა“, - ამბობს რუსთავის მოქალაქე ბადრი ვეფხვაძე.

„არ ვიცი, რა ხდება?!.. ერთბაშად ტალახიანი წვიმა წამოვიდა. ვერ ვიგებთ, რა უნდა იყოს მიზეზი“, - ამბობდნენ რუსთაველები.

ამ ეტაპზე დაზუსტებით ვერავინ ამტკიცებს, შეიძლება თუ არა ყვითელი წვიმა რუსთავეში მოქმედ მსხვილ საწარმოებს გამოეწვია.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ ანალიტიკოსი, ქეთევან გუჯარაძე აცხადებს, რომ ასეთი მოვითალო წვიმა საქართველოში 2009 წელსაც მოვიდა.

„სამწუხაროდ, არასამთავრობო ორგანიზაციებს არა გვაქვს საშუალება, დამოუკიდებელი ექსპერტიზა ჩავატაროთ. 2009 წელს, როცა ასეთივე აგურისფერი წვიმა მოვიდა, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ სინჯები აიღო და მაშინ ითქვა, რომ წვიმას, უბრალოდ, უდაბნოდან ატაცებული ქვიშა მოჰყვებოდა. ისიც ითქვა, რომ ალოგიკური არ არის, ქვიშა ქარმა ეგვიპტისა და სირიის უდაბნოებიდან აიტაცოს და ჩვენამდე ასე მოაღწიოს. ასეთი რამ მართლაც შეიძლება მომხდარიყო. უბრალოდ, ძალიან სამწუხაროა, რომ არ არის საშუალება დამოუკიდებელი ექსპერტიზით გადამოწმდეს გარემოს ეროვნული სააგენტოს ანალიზის ოფიციალური შედეგები“, - ამბობს ქეთევან გუჯარაძე.

ყვითელი წვიმის მიზეზს ამჯერადაც უდაბნოებიდან ატაცებულ ქვიშას მიაწერს გარემოს ეროვნული სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტის უფროსი რამაზ ჭითანავა. „ადამიანის უფლებათა ცენტრთან“ საუბრისას იგი ასევე ამბობს, რომ ეს წვიმა, სავარაუდოდ, ჯანმრთელობისთვის საზიანო არ არის.

„სინოპტიკური სიტუაცია ისეთია - ღრმა ციკლონმა უდაბნოდან, კერძოდ - სირიიდან, ეგვიპტიდან და იორდანიიდან ქვიშა აიტაცა. რაც შეეხება ქიმიურ ანალიზს, ვფიქრობ, რომ უნდა ჩატარდეს ანალიზი. თუმცა, ეს რთულია იქნება, რადგან წვიმა ძალიან მცირე რაოდენობით მოვიდა“, - ამბობს რამაზ ჭითანავა.

მისივე თქმით, ასეთი წვიმა დაფიქსირდა რუსთავეში, თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში.

საუბრისას რამაზ ჭითანავამ ხაზი გაუსვა, რომ ყვითელი წვიმა მცირე რაოდენობით მოვიდა. თუმცა, რუსთავეში წვიმამ თითქმის მთლიანად ტალახით დაზურა ქუჩაში მდგომი მანქანების საჭარე მიწები.

„ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ჩვენს ქალაქში ტალახიანი წვიმა მოვიდა. ასეთი რამ სისტემატიურად ხდება. თუმცა, ასეთი მუქი წვიმა პირველად მოვიდა. მიზეზი ეგვიპტე კი არა ის საწარმოებია, რომელთა მილები გამუდმებით აფრქვევს ყვითელ კვამლს. რუსთავეი იყო ამ წვიმის ეპიცენტრი. თბილისში წესიერად ვერც გაიგეს, რომ ტალახიანი წვიმა მოდიოდა“, - ამბობს რუსთაველი მეღვინე ჯიქია.

„ინტერპრენსიუსმა“ ტალახიანი წვიმის თაობაზე გარემოს დაცვის სამინისტროს

სხვა სიახლეები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინა

ხელვაჩაურის გამგებელი და მისი მოადგილე დააკავეს

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფმა სასამართლოს მიმართა

აგრარული უნივერსიტეტის საკითხს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად შეისწავლის

პაატა ზაქარეიშვილის თქმით, პრეზიდენტი რეინტეგრაციის სამინისტროს სახელწოდების შეცვლას აპირებდა

[არქივი](#)



www.apsni.org

ბლოგი

ქართული პოლიტიკური რეკლამის ისტორიული...



2005 წელს ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სატელევიზიო პოლიტიკურ რეკლამებს ამომრჩევლის ნების ფორმირებაზე მხოლოდ ხანმოკლე (ასე - ორ კვირის) ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

[გრძელად...](#)

წინასაარჩევნო სარეკლამო დაპირებები...

პოლიტიკური რეკლამების ხარისხი და...

[არქივი](#)

რედაქტორის აზრი

ადამიანის უფლებათა ცენტრი მალაჩინოსნების...



ადამიანის უფლებათა ცენტრი იწყებს ახალი პროექტის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც, ცენტრის იურისტები და ჟურნალისტები ყოფილი მალაჩინოსნების სასამართლო პროცესებს მონიტორინგს გაუწევენ.

[გრძელად...](#)

საერთაშორისო ზეწოლის შედეგად სახელმწიფო...

ავვისტოს ომი - ვინ...

მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელის სვეტლანა ნიორაძის კომენტარი გაავრცელა. მისი თქმით, თბილისში ტალახიანი წვიმის მიზეზი სამხრეთ- დასავლეთიდან შემოსული ჰაერის მასებია, რომლებიც დიდი რაოდენობით მტვერსა და ქვიშას შეიცავს.

მისივე თქმით, საგარეოდ, ეს ჰაერის მასები ეგვიპტიდან და სირიიდან შემოდის. ამიტომაც ატმოსფეროში ძალიან დიდი რაოდენობით მტვერი და ქვიშაა, რაც წვიმაზე აისახება.

„ტალახიანი წვიმა იშვიათი მოვლენა არ არის. ხოლო ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს“, - აღნიშნა ნიორაძემ.

24 აპრილამდე მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე ცვალებადი ამინდია მოსალოდნელი.

[<< უკან დაბრუნება](#)



დატოვებთ თქვენი კომენტარი

თქვენი სახელი:

თქვენი კომენტარი:

ქართულად

დამცავი კოდი:

არქივი

გამოკითხვა

თქვენი აზრით, პარლამენტის მიერ ცოტა ხნის წინ გათავისუფლებული პოლიტპატიმრები იმსახურებდნენ თუ არა განთავისუფლებას?

- უნდა გაეთავისუფლებინათ
- არ უნდა გაეთავისუფლებინათ
- მხოლოდ ნაწილი უნდა გაეთავისუფლებინათ
- მიჭირს პასუხის გაცემა

წინ

შედეგები

არქივი



თემები

ბავშვები	ჯანდაცვა
ქალები	კორუფცია
მართლმსაჯულება	არჩევნები
ლტოლვილები / დევნილები	განათლება
უმცირესობები	პატიმრები
მედია	რელიგია
ჯარი	სხვა

კატეგორიები

ჟურნალისტური მოკვლევა	ინტერვიუ
სტატია	უცხოური მედია
რეპორტაჟი	საქართველოს შესახებ
ანალიზი	რედაქტორის აზრი
ფოტო რეპორტაჟი	პოზიცია
ექსკლუზივი	მკითხველის აზრი
	ბლოგი